

საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული

დავების განხილვის საბჭო

2009 წლის განმავლობაში დავების განხილვის საბჭოს მიერ განხილული საჩივრების შესახებ

სტატისტიკური ანგარიში

2009

ანგარიში მომზადებულია საქართველოს ფინანსთა სამინსიტროს დავების განხილვის სამსახურის მიერ

1. შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს მიერ 2009 წლის განმავლობაში განხილული საჩივრების ამსახველ სტატისტიკურ ანგარიშს.

2009 წელს საბჭოში განსახილველად შემოვიდა 910 საჩივარი, სადავო თანხით 354.378 ათასი ლარი. დავების საბჭომ 2009 წელს განიხილა 780 საჩივარი სადავო თანხით 353.925.525 ლარი.

2. საბჭოში შემოსული საჩივრებისა და გასაჩივრებული თანხების დინამიკა

საბჭოს დაარსებიდან (2005წ.) დღემდე მატულობს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დავების განხილვის სისტემის ნდობა და პოპულარულობა. მიუხედავად იმისა, რომ სამართალწარმოების ნებისმიერ ეტაპზე, საგადასახადო კანონმდებლობა საშუალებას იძლევა დავა სასამართლო წესით გაგრძელდეს, სულ უფრო მეტი მომჩივანი ირჩევს დავების განხილვის საბჭოს, როგორც დავის განმხილველ ორგანოს, რასთან ერთადაც იზრდება საბჭოში შემოსული საჩივრების რიცხვიც.



საჩივრების ზრდასთან ერთად გაიზარდა გასაჩივრებული თანხების ოდენობაც.



3. გაუქმებული დარიცხვების ოდენობა

2009 წელს გასაჩივრებული გადასახდელების 43% საბჭომ სრულად ან ნაწილობრივ გააუქმა, ხოლო მოთხოვნა დარჩენილ 57%–თან მიმართებით არ დაკმაყოფილდა ან განუხილველი დარჩა.



4. გასაჩივრებული დოკუმენტების გამომცემი ორგანოები

2009 წლის განმავლობაში დავების განხილვის საბჭოში ყველაზე ხშირად თბილისის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) მიერ გამოცემული აქტები საჩივრდებოდა.



5. მომჩივანთა სამართლებრივი ფორმები

მომჩივანთა იურიდიული სახეების მიხედვით, მომჩივანთა უმეტესობა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებს წარმოადგენს. 910 მომჩივნიდან 330 – შპს, 278 – ინდმეწარმე, 158 – ფიზიკური პირი, 90 – სააქციო საზოგადოება, 13 – სპს და 41 სხვა დანარჩენი ტიპის იურიდიული პირია.



6. დავის საგნები

2009 წელს საბჭოს მიერ განსახილველ დავის საგანთა შორის სჭარბობდა შემდეგი საკითხები:

- საკონტროლო–სალარო აპარატის გამოყენების წესის დარღვევისთვის დაკისრებული ჯარიმები;
- საგადასახადო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებები (გირავნობა/იპოთეკა – ყადაღა);
- საგადასახადო დეკლარაციის დაგვიანებით წარდგენისთვის დაკისრებული სანქციები;
- სხვადასხვა საფუძვლით დღგ–ის ჩათვლების გაუქმება;
- საგადასახადო შემმოწმების საფუძველზე ერთობლივი შემოსავლის გაზრდის გამო დაკისრებული გადასახდელები;
- საბაჟო წესების დარღვევისთვის დაკისრებული სანქციები;
- ინვენტარიზაციისას გამოვლენილი აღურიცხავი სასაქონლო მატერიალური მარაგებისა და დანაკლისის გამო დარიცხული გადასახდელები;
- გადასახადის გადამხდელად რეგისტრაციის წესების დარღვევის გამო დაკისრებული ჯარიმა;
- გადასახადის გადამხდელის მოთხოვნაზე უარი;
- შემოსავლების სამსახურის მიერ საჩივრის განუხილველად დატოვება;